ხელშეკრულება N 120

ქ.ქუთაისი 17 ივლისი 2019 წელი

ერთი მხრივ **სსიპ კოლეჯი „იბერია“** (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი **დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ანა ცუცქირიძის** სახით და მეორე მხრივ **შპს „სანდა“** (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი **ხელმძღვანელის რევაზ ვაჭარაძის** სახით, გამარტივებული შესყიდვების საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3-ე პუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვების ჩატერები წესისი დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

(CPV კოდი: 31172000 - დენის ძაბვის ტრანსფორმატორები, 31221000 - ელექტრორელეები, 31212000 - წრედის გამთიშველები/ავტომატური ამომრთველები, 31710000 - ელექტრონული მოწყობილობები, 31321210 - დაბალი ძაბვის კაბელი, 31651000 - საიზოლაციო ლენტი, 44531510 - ჭანჭიკები და ხრახნები 31510000 - ელექტროვარვარა ნათურები) (შემდგომში საქონელი) ხელშეკრულების პირობებისა და დანართი N 1 -ის შესაბამისად, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1520,50 (ათასხუთასოცი და 50 თეთრი) ლარს. დღგ-ს ჩათვლით. **დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები**

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3,1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3,2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3,3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღეში.

4. ხელშეკრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების წესი

4,1 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვების სპეციალისტი გიგა ფახურიძე.

4,2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორის 2016 წლის 7 სექტემბრის N 221 და 2019 წლის 24 იანვრის N 24 ბრძანებეით შექმნილი კომისია (თამარ დვალი, ბერიკა უშვერიძე, დავით დათუაშვილი, რუსუდან ხაბულიანი)

4,3 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5,1 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ.ქუთაისი ნიკეას N12.

5,2საქონლის მიწოდების განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 25 ივლისის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6,1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

6,2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6,3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6,4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადებში, რომელიც მოთითებულია ხელშეკრულების 5,2 პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7,1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გასვლის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით.

7,2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8,1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8,2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გავალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8,3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით.

8,4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შესუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8,5 მხარე ვალდებულია 8,4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განსაზღვრის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8,6 ხელშეკრულება ასევე შიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატიცით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8,7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერსთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

შემსყიდველი:
სსიპ კოლეჯი „იბერია“
მის:ქ.ქუთაისი ნიკეას N12/ნიკეას N12
საიდენტიფიკაციო კოდი: 212 682 051
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ნ: GE 24 NB 0330 1002 0016 5022
ანა ცუცქირიძე

მიმწოდებელი:
შპს „სანდა“
მის:ქ.ქუთაისი ირაკლი აბაშიძის N21ა
საიდენტიფიკაციო კოდი: 430030888
„თი ბი სი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ: GE 08 TB 7923 1360 5010 0001
რევაზ ვაჭარაძე

დანართი N1

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეული ს ფასი	სულ	CPV
1	ლედ UCOB ნათურა 32W	ცალი	2	15	30	31510000
2	ელექტრო შტანგერი	ცალი	1	25	25	31710000
3	დენის ტრანსფორმატორი MSQ-30 30/5(PEOPLE)	ცალი	3	14	42	31172000
4	ტრანსფორმატორი MSQ-30 50/5A B	ცალი	3	15	45	31172000
5	ელ. რელეს ბუდე PF 113	ცალი	4	4.5	18	31221000
6	AC კონტაქტორი 9A 220V Silver	ცალი	6	15	90	31710000
7	BA47-29 3P 63A 4,5кA х-ка C "IEK"	ცალი	2	15	30	31710000
8	BA47-29 2P 63A 4,5кA х-ка C "IEK"	ცალი	4	10	40	31710000
9	ჩამრთ VS თ\რ ერთი რევერსი	ცალი	2	4	8	31212000
10	ჩამრთ VS თ\რ ორიან რევერსი	ცალი	2	5	10	31212000
11	ელ-ავტომატის ყუთი 2-ნი გარე	ცალი	5	2	10	31710000
12	გამომრთველი ВКИ-216 3P10A 230/400В	ცალი	6	13	78	31212000
13	088-001-0001 სენსორი HL480	ცალი	1	20	20	31710000
14	089-001-0003 25A HL472	ცალი	2	20	40	31710000
15	ჭანჭიკი 3.5*35 შავი (1000ცალი)	ყუთი	1	12	12	44531510
16	ჭანჭიკი პლასტმასის დამჭერით 6*35 (100ცალი)	ყუთი	1	10	10	44531510
17	სკობი 2	ყუთი	2	3	6	44531510
18	მწვანე /იზოლენტა/Aკლ (მწვანე) EKF	ცალი	2	2.5	5	31651000
19	პვს 4*4 ელ სადენი	მეტრი	35	4.4	154	31321210
20	სადენი CYKYLO-F 2x2.5	მეტრი	50	1.55	77.5	31321210
21	H05VVH2-F 2*1.5	მეტრი	50	1	50	31321210
22	ლედ პანელური განათება 24 ვ	ცალი	40	18	720	31510000
					1520.5	

სსიპ კოლეჯი „იბერია“ შპს „სანდა“

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.ქუთაისი 17 ივლისი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ შპს „სანდა“-ს შესყიდვების განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პირები:

სსიპ კოლეჯი „იბერია“

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: /ა.ცუცქირიძე/

შესყიდვების სპეციალისტი: /გ.ფახურიძე/